აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში

01.09.2015-01.09.2016

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის ანგარიშში ასახულია 1015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე კომისიის მიერ უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომისიის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომისიის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების სტატისტიკა, წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

კომისიის თავმჯდომარე	გიორგი მასალკინი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	აკაკი ძნელაძე
კომისიის წევრები:	
	ასმათ დიასამიძე - (18.06.2015 - დან)
	თემურ ბოლქვაძე - (18.06.2015 - დან)
	სულხან ღლონტი - (18.06.2015 - დან

კომისიის აპარატი

აპარატის უფროსი	ნაირა აბულაძე
თავმჯდომარის თანაშემწე	ზაზა ჩავლეიშვილი
მთავარი სპეციალისტი	ნატო აბუსელიძე
წამყვანი სპეციალისტი	ნონა ტაკიძე
უფროსი სპეციალისტი	ნინო ანთიძე

კომისიის სხდომების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილული კორესპონდენციების სტატისტიკა

- კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში მოწვეული იქნა 10 სხდომა, განხილული იქნა 42 საკითხი და შემუშავდა 38 დასკვნა.

კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში:

- **მიღებული იქნა 170 მოქალაქე;**
- **კომისიაში შემოვიდა და დამუშავდა 187 კორესპონდენცია;**
- **კომისიიდან გაიგზავნა 154 კორესპონდენცია.**

კომისიის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- „აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის" კომისიის წევრი;
- „თავისუფალი პროექტების" შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი;
- „სტუდენტთა დახმარების" ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
- პროექტების - „სწავლა საზღვარგარეთ", „სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა", „კონფერენციის ორგანიზება" ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

კომისიის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომისიის თავმჯდომარე და წევრები:

სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

1-6.11. 2015
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მიწვეული იყო ბრიტანეთში ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ უინჩესტერში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის კომიტეტის პლენარულ სესიასა და კონფერენციაზე.

3-4 .01.2016
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მივლინებული იყო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაპიზონში ,,ხასან ხელიმიშის" გამოფენის გახსნის ცერემონიალზე დასაწრებად.

8 -12. 02. 2016
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ძნელაძე მიწვეული იყვნენ (ეფას-ს პრეზიდენტის დარკო ბრლეკისა და ბელგიაში საქართველოს ელჩის - ნატალი საბანაძის მიერ) ბრიუსელში, ევროპის ფესტივალთა ასოციაციის ეგიდით გამართულ ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალ 2016-ის პრეზენტაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე. გიორგი მასალკინმა პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა და წარადგინა რეგიონი.

29 თებერვალი-12 მარტი, 2016 წელი
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი, დელეგაციასთან ერთად, იმყოფებოდა პოლონეთსა (ქ. ნისა) და უკრაინაში (ქ. ტერნოპოლი). პოლონეთში ვიზიტის დროს შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტში, უნივერსიტეტში, წარმოებებში, მუსიკალურ ცენტრში, სპორტულ სკოლაში, მუზეუმემში. გამოიკვეთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნისა და ბათუმის მიმართ. გამოითქვა თანამშრომლობისა და მეგობრობის, დაძმობილების სურვილი. გაეცნენ ნისის პოტენციალს, წარადგინეს ქ. ბათუმის პრეზენტაცია. შედეგად, 2016 წლის 4 სექტემბერს მოეწერა ხელი ბათუმისა და ნისას დამეგობრების ხელშეკრულებას.

უკრაინა, ქ.ტერნოპოლი: გაიმართა ოფიციალური შეხვედრები, დაიდო თანამშრომლობის მემორანდუმები ნაციონალურ ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ნაციონალურ ეკონომიკურ უნივერსიტეტთან. მოინახულეს ზეთის ქარხანა, ფქვილის კომბინატი, ავეჯისა და საკონდიტრო საწარმოები, თეატრი, მუზეუმი, მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურის გაცნობა. გიორგი მასალკინმა წაიკითხა საჯარო ლექცია "საქართველო დღეს" ეგალიცკის კოლეჯში.

21-25 .06. 2016 წ.
კომისიის თავმჯდომარე გიორგი მასალკინი, ევროპის რეგიონთა ასამბლეის გენერალური მდივნის მეთიუ მორის მიწვევით, მივლინებული იყო ნორვეგიის სამეფოში ნურლანის საგრაფოს ქალაქ ბუდიეში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე, რომელზეც მოეწყო აჭარის რეგიონის პრეზენტაცია.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის აკაკი ძნელაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით ხორციელდება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და აჭარის მწერალთა კავშირის შენობების რეაბილიტაცია. ძნელაძე სისტემატიურად ახორციელებს მშენებლობის მონიტორინგს. ასევე აქტიურადაა ჩართული საბაევისა და გრაფ სერგეევის სახლების რესტავრაციის პროცესში.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გიორგი მასალკინი